

თამარ გითოლენდია

არგო - კოლისემიის ერთ-ერთი წყარო ქართულში

პოლისემიის წარმოქმნის ენობრივი და ექსტრალინგვისტური ფაქტორები მეტად მრავალფეროვანია. ყოველ მათგანს თავისებური ნიუანსები აქვს. სიტყვის სრულყოფილი, ამომწურავი სემანტიკური დახასიათებისათვის საჭიროა მისი მიმართების გარკვევა ენის სხვადასხვა ქვესისტემასთან. კერძოდ, უნდა განისაზღვროს სიტყვის ადგილი საერთო ქართულ ლექსიკაში, სიტყვის სემანტიკური დახასიათება უნდა მოხდეს მისი მიმართების გარკვევით ძველ ქართულთან, დიალექტურ ლექსიკასთან, სხვადასხვა ენობრივი კოდების, პროფესიული ენების, ენობრივი სისტემების - ტაბუირების, რიტუალური არგოს, სამონადირეო ენის, მეტაფორიკის პრინციპების, ეტიმოლოგიის, ყარგონის, ენის გენდერული ასპექტის, ბავშვური ენის, იუმორის, ირონიის, ინტერტექსტულობის, კონოტაციასიისა და ენის დანარჩენ ქვესისტემებთან მიმართების გათვალისწინებით. ამგვარი კომპლექსური მიდგომა წარმოაჩენს სიტყვის შინაარსობრივ პოტენციას, სიტყვათა განაწილებას ენის ქვესისტემებში. აგრეთვე, სიტყვის სემანტიკურ დახასიათებაში დაგვეხმარება ექსტრალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინება: ქრონოლოგიური და სივრცული მონაცემების გათვალისწინება, კულტურული-ისტორიული გარემოს გათვალისწინება, ფსიქოლოგიური ფაქტორები მითოლოგიური და წარმართული კულტურული არეალიდან ახალ კულტურულ არეალში გადასვლის დროს მომხდარი ცვლილებებზე დაკვირვება, ისტორიის განმავლობაში მომხდარი კულტურული, პოლიტიკური, სოციალური გარდატეხების გათვალისწინება და სხვ. ყოველივე ეს მოგვცემს წარმოდგენას ლექსიკურ ფონდთან ენობრივი კოლექტივის დამოკიდებულების, აზროვნების ისტორიის, ზოგადად ლექსემათა სემანტიკურ ცვლილებებზე ექსტრალინგვისტური ფაქტორების გავლენისა და პოლისემიის წყაროების შესახებ.

ნაშრომში განიხილება ქართულ ენაში ახალი სემანტიკის გაჩენის ერთ-ერთი მიზეზი - რიტუალური არგო ანუ "ცალკეული სოციალური ჯგუფის, პროფესიული წრის თავისებური მეტყველება, რომლის სიტყვები და გამოთქმები გასაგებია მხოლოდ სათანადო კოლექტივისათვის" (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 49). რიტუალური ლექსიკის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ არგო ქართულ ენობრივ სამყაროში სიტყვის ახალი მნიშვნელობების გაჩენის ერთ-ერთი სამოტივაციო მოვლენაა.

რიტუალურ არგოს განეკუთვნება ჯვართენა, სამონადირეო ენა და შელოცვის ფორმულებიც, რომლის სიტყვები და გამოთქმები გასაგებია მხოლოდ სათანადო კოლექტივისათვის, რადგან "პროფესიული საიდუმლოების გაცემა ხშირად გაკოტრებას ნიშნავდა. ამ საიდუმლოს დაცვა შესაბამისი არგოს გამომუშავებას საჭიროებდა — ამქრის წევრისათვის გასაგებს, სხვებისთვის — გაუგებარს (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 51)". ამ ფაქტმა ქართული ენის მთის დიალექტების ლექსიკაში განაპირობა სიტყვათა ახალი პოლისემიური ჯგუფების წარმოქმნა.

აღმოსავლეთი საქართველოს მთიანეთის, განსაკუთრებით, ხევსურთა, საწესო ტექსტებში კარგა ხანია შემჩნეულია ერთი შრე ლექსიკისა, რომელიც ჯვართენად იწოდება. მას გამოყენების მკაცრად შემოფარგლული სფერო აქვს. ეს ლექსიკა დასტურდება ხუცობისა და ქადაგობის (ნაქადაგართა) ტექსტებში (ზ. კიკნაძე, 1997, გვ. 147). ჯვართენა წარმოადგენდა ქადაგის საგანგებო, ჩვეულებრივი სასაუბრო ენისაგან განსხვავებულ ტერმინთა კრებას, რომელსაც იგი ჯვრის ნება-სურვილის გამოცხადების დროს იყენებდა. ჯვართენის წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო ჯვრის ზებუნებრიობისათვის ხაზგასმის სურვილი, მისი შექმნა საჭირო იქნებოდა ჩვეულებრივ მოკვდავთა სასაუბრო ენისაგან ღვთისშვილთა "ენის" განსხვავების მიზნით, რითაც ჯვრის ზებუნებრიობას გაესმებოდა ხაზი და მკადრე ქადაგები, როგორც ამ ღვთაების ყველაზე ახლო მდგომნი და მისი სიტყვის მლალადებელნი, საკუთარ მდგომარეობას ამაგრებდნენ, ხალხში მეტ ავტორიტეტსა და პატივისცემას იხვეჭდნენ (თ. ოჩიაური, 1954, გვ. 134-135).

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთი საქართველოს მთიანეთში გვიანობამდე შემონახული იყო ქადაგობის ინსტიტუტი. იგი მთიელთა რელიგიურ ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა... მორწმუნეთა შეხედულებების თანახმად, ქადაგს პირადად ეცხადებოდა ღვთაება, სახლდებოდა მასში და მისი პირით მეტყველებდა, ატყობინებდა ხალხს თავის ნებას. **ქადაგების დროს იგი ხმარობდა ჩვეულებრივი სამეტყველო ლექსიკონისაგან განსხვავებულ ტერმინებს**, რომელთაც ადგილობრივად ჯვართენას ეძახიან (თ. ოჩიაური, 1996, გვ. 207).

ჯვართენას ეძახიან ორასიოდე სიტყვა-შესიტყვებას, რომელთაც ხატის მსახურნი და ქადაგ-მკითხავნი იყენებდნენ რიტუალების შესრულებისას (ა. ჭინჭარაული, 2001, გვ. 151). ჯვართენის ლექსიკა სისტემური სახით წარმოდგენილი აქვთ თ. ოჩიაურს და ზ. კიკნაძეს. დღეისათვის მიკვლეულია ჯვართენის 160 ლექსიკური ერთეული და გაერთიანებულია შვიდ ჯგუფში. ამ ლექსიკის გარკვეული ნაწილი ძალიან ძველი წარმომავლობისა ჩანს. ქართულში ჯვართენის სარიტუალო ლექსიკაში შედიოდა: ადამიანის სახელები, ადამიანის სხეულის ნაწილთა სახელები, ადამიანის ქონების სახელები, ჯვართან დაკავშირებული მოვლენებისა და რეალიების სახელწოდებანი, ცხოველთა სახელები, ბუნებისა და ბუნების მოვლენების სახელები და უწმინდურთა სახელები.

ჯვართენის ჩვეულებრივ მეტყველებასთან საზიარო სიტყვები ახალი სემანტიკური კომპონენტით წარმოგვიდგებიან. სპეციალური სახელები შერქმეულია ისეთი საგნებისა და მოვლენებისათვის, რომელთაც ჩვეულებრივ მეტყველებაში საკუთარი სახელწოდებები გააჩნიათ.

ასევე აღნიშნავენ, რომ ჯვართენა არის სპეციალური ენა და ქადაგისაგან მოითხოვს სპეციალური ტერმინოლოგიის აუცილებელ ცოდნას.... ეს ლექსიკა ყოველდღიური ურთიერთობის დროს ჯვართენაში გამოყენებული მნიშვნელობით არ იხმარება, რაც საკრალურობას ანიჭებს ტექსტს. ეს ის ნიშანია, რომლითაც საკრალური ტექსტი სადაგი ტექსტისაგან განირჩევა. **იგი სრულიად განსხვავებული რეალობის გამომხატველია** (ზ. კიკნაძე, 1997, გვ. 147). **ამ ფაქტმა ქართული ენის მთის დიალექტების ლექსიკაში განაპირობა სიტყვათა ახალი პოლისემიური ჯგუფების წარმოქმნა.**

არგოს, როგორც პოლისემიის სამოტივაციო მოვლენის საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ რამდენიმე ტიპურ მაგალითებს:

ჯვართენაზე მიცვალებულს ჰქვია **“სულიწმინდა“**, **“უსუსური“**, **“ცივი“**. აღმ. საქართველოს მთიელები **სულიწმინდას** მიცვალებულის სულს უწოდებენ, თუმცა მიცვალებული უწმინდურადაც ითვლება (ზ. კიკნაძე, ნ. ლამბაშიძე). როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ქართულში **სულიწმინდა/სული წმინდა** სამების მესამე ჰიპოსტაზის სახელწოდებაა. ნინო ლამბაშიძის მიერ გაანალიზებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ირკვევა, რომ მთიელთა მიერ მიცვალებულთა სულების **სულიწმიდად** მიჩნევაში გარკვეული როლი უნდა ეთამაშა: 1. წარმოდგენებს გვამის უწმინდურობასა და სულის სიწმინდეზე — მთიელები ასხვავებდნენ მართალთა და ცოდვილთა სულებს. მათთვის სიკვდილი და, შესაბამისად, გვამი უწმინდურობაა, ხოლო სული კი წმინდა; 2. ქრისტიანულ-თეოლოგიურ შეხედულებას, რომ საიქიოში მართალთა სულები სულიწმიდის ნიჭით არიან აღბეჭდილები; 3. სულების **სულიწმიდად** სახელდების ძირითად მიზეზად ავტორს სულთმოფენობის დღესასწაული მიაჩნია. სულთაობა-ხალარჯობა სულიწმიდის დღე და მიცვალებულთა მოხსენიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღესასწაულია, როდესაც ნებისმიერი სახის სიკვდილით (მათ შორის თვითმკვლელობითაც) დაღუპულთა სულებსაც მოიხსენიებს ეკლესია. სულთაობა-ხალარჯობა იუდაურ პასექში შემავალი დღესასწაულია. როდესაც პასექის დღესასწაულის ერთ-ერთი სახელწოდება ეწოდება სულთმოფენობის წინა დღეს, მკვლევრის აზრით, ამგვარი სახელწოდება ხაზს უნდა უსვამდეს თეოლოგიურ აზრს, რომლის მიხედვით, აღდგომის საიდუმლო 50-ე დღეს სულთმოფენობით დასრულდა. ამდენად სულთმოფენობის შაბათს, ხალარჯობას თავის თავში გარდაცვლილთა მოხსენიებასთან ერთად, სულთმოფენობის თეოლოგიური აზრიც უნდა მოეცვა და სულიწმიდა მიცვალებულთა სულებისათვის დაეკავშირებინა. ამის გამო სულთმოფენობის დღესასწაული მიცვალებულთა მოხსენიების დღე იყო და არის (ნ. ლამბაშიძე, 2001, გვ. 272).

ჯვართენაზე მიცვალებულის სახელებია ასევე **“უსუსური“** და **“ცივი“**. ხოლო **უსუსურობა** აღნიშნავს “სიკვდილს”: “რა გაგიბედავ ვერცხლის ღილისადავ; უსუსურობა გაგიბედავავ”; “აიღესავ აი ცივივ, საკრესაო’ გაემართნესავ (ღიალექტ.)”; “ცივის სიმძიმეს გაჩკვირან: არ იყვა ასატანიო (აღ. ჭინჭარაული, 2005).

ჯვართენაში მორწმუნეს, ჯვარის კაცს ჰქვია **“წამებული“**. **წამება** სიტყვის ძველი ქართული მნიშვნელობებია “მოწმობა”; “დადასტურება”, “წამება”; “ტანჯვა”; “მინიშნება”; “ჩვენება” (ზ. სარჯველაძე, 1997), ხოლო **წამებულიობა/წამებულება** - “დადასტურება”; **წამებულ-ყოფა** - “დადასტურება” (ზ. სარჯველაძე). შდრ.: “მოწმე”, “მწამს (მჭერა)”, “ცილისწამება”. ჩვენი აზრით, ჯვართენაში **წამებული** გამოიყენება მორწმუნის მნიშვნელობით, **წამებული** არის ის, ვინც ადასტურებს თავის მორწმუნეობას სიტყვით და საქმით.

ჯვართენაში თოფის სახელებია **საქუნარი** “თოფი”, **“სასაგნავი“** (სა-საგნ-ავ-ი. “საგანში” ანუ “შიზანში” მსროლელი (ზ. კიკნაძე). აღ. ჭინჭარაულის აზრით, ჯვართენის სიტყვა **საქუნარი** უფრო ძველია, ვიდრე ჯვართენაშივე გამოყენებული თოფის მეორე სახელი **სასაგნავი**. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ზეესტრუქტურულ ჯვართენაში **სასაგნავი** ნიშნავს “სატყორცნს”, “სასროლს”. ხოლო

ისარი **გასაგნა** ნიშნავს “ისარი გატყორცნა“. ხატის მსახურთ ძველი ტერმინიდან ნაწარმოები ეს სიტყვა **საქუხარის** სინონიმად შეუქმნიათ. ხვესურული **საგნავს**, **გასაგნავს** და **სასაგნავი** გვეხმარება “ვეფხისტყაოსნის“ შესიტყვება “მშვილდოსანნი გასაგანა“ -ს ახსნასა და სტრიქონის შინაარსის გაგებაში (ა. ჭინჭარაული, 2001, გვ. 151). მაშასადამე, მეცნიერი ვარაუდობს, რომ ჯვართენაში სიტყვა **საქუხარი** წინ უსწრებდა მის სინონიმ **სასაგნავს**, თუმცა, როგორც თვითონვე აღნიშნავს, **საგანი** ისიც არის, რასაც უნდა ესროლონ, ე. ი. მიზანი და ისიც, რაც უნდა ესროლონ, ე. ი. ისარი (შდრ. მეგრ. **ქასაგანი** “მშვილდისარი“ < **ქა** “რქა“ + **საგანი** “ისარი“). ტერმინი **საქუხარი** თოფის მნიშვნელობით შექმნილია ქუხილთან თოფის ხმის მსგავსების გამო. ჩვენი აზრით, დანიშნულების სახელი **საქუხარი**, რომელიც უკავშირდება სიტყვა **ქუხილს**, შესაძლებელია, ქართულში სრულებითაც არ არსებობდა თოფის, როგორც იარაღის გავრცელებამდე. ამდენად, ჯვართენაში ტერმინ **საქუხარის** გაჩენაც მე-17 საუკუნის ფაქტი უნდა იყოს - როგორც ცნობილია, თოფი მე-17 საუკუნიდან შემოვიდა საქართველოში. ჩვენს ამ ვარაუდს ადასტურებს ის ფაქტი, რომ “ვეფხისტყაოსანში“ უკვე დასტურდება **საგანი** სიტყვისაგან მომდინარე ნასახელარი ზმნა **გასაგანა** “მან ისინი გასტყორცნა, მოისროლა“ (იბ. ზემოთ), ხოლო მეგრულში იგივე სიტყვა **საგანი** დღემდე ისარს აღნიშნავს. მე-11-12 საუკუნეების მიჯნაზე სიტყვა რეალურად დასტურდება, ხოლო თოფი, როგორც საგანი იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ არსებობდა. შესაბამისად, ჯვართენაშიც **სასაგნავი** უფრო ადრე უნდა გაჩენილიყო, ვიდრე **საქუხარი**.

სახლს ჰქვია “**ყუდრო**“. (შდრ. **ყუდრო-კარი** - “სახლ-კარი“ ჯვართენაზე). ქართულ **ყუდ-** (<*ყუედ-) სა-**ყუდ**-ელ-ი; სა-**ყუდ**-არ-ი; და-**ყუდ**-ებ-ა “დაწყნარება“; “დაცხრომა“; “მშვიდობა“; **ყუდ**-რ-ო; **ყუდ**-რ-ო-ებ-ა-ე “სიწყნარე, სიმშვიდე“. ქართულ **ყუდ-** ძირს მეგრულში შეესატყვისება **ყუდე** - “სახლი“, ხოლო სვანურში - **ყუედ**, **ყუედ-ი** “მყუდრო, წყნარი“ (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990, გვ. 367), **ყუდე** -სახლი (შდრ. ქართ. ძირი -**ყუდ-**: სა-**ყუდ**-ელ-ი; ქვა**ყუდე** - ე. ი. ქვის სახლი (ა. ჩიქობავა, 2008, გვ. 40). შდრ. გურამიშვილის “მზის ყუდრო“. შდრ. ხვესურული **ხ-ყუდავ** - დგას, ყუდილ-ი - დგომა (ა. ჭინჭარაული, 2005, გვ.944).

ჯვართენაზე ვერცხლს ჰქვია “**თეთრეული**“. სრულიად ცხადია, რომ ეს მეორეული სახელწოდება უნდა უკავშირდებოდეს ვერცხლის, როგორც მეტალის ფერს. ამ კონტექსტში საყურადღებოა, რომ ძველ საქართველოში ვერცხლის ფულს **თეთრი** ეწოდებოდა. სპეციალისტების ცნობით, ქრისტეშობამდე VI საუკუნეში ქართულმა სახელმწიფომ მოჭრა პირველი მონეტა - კოლხური თეთრი. სწორედ აქედან იღებს დასაბამს ქართული ფული, რომელსაც 26-საუკუნოვანი ისტორია აქვს და ერთ-ერთი პირველია მსოფლიო მონეტებს შორის. **კოლხური თეთრი ვერცხლისგან იყო დამზადებული**, ნომინალური სისტემით კი ბერძნული მონეტების თანაბარ, ანუ დრაქმის სისტემაში იყო მოჭრილი. შესაბამისად, კოლხური თეთრით ანგარიშსწორება სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ და მისი კონვერტაციაც თავისუფლად ხდებოდა. შუა საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქალაქ ცხუმში იჭრებოდა ვერცხლის ფული, რომელსაც ქართულ იურიდიულ დოკუმენტებში **ცხუმური თეთრის** სახელით მოიხსენიებდნენ (<http://www.kvirispalitra.ge/economic/10692->

garthuli-fulis-thavgadasavali.html). ფერის მიხედვით საგნის მეორეული სახელდება ქართულში სხვა შემთხვევებშიც დასტურდება: ქართლში **თეთრეული** რძის ნაწარმს (წველას, ყველეურს) ნიშნავს (ალ. ლლონტი, 1984), თანამედროვე ქართულში **თეთრეული** “პერანგისა და მისი ამხანაგის” ნაცვლად დამკვიდრდა, რაც რუსული შესაბამისი სიტყვის “Белые”-ს კალკია (ბ. ჯორბენაძე, 1997, გვ. 75).

ჯვართენაში უწმინდურებს ჰქვია **“მყვირალნი”**; საანალიზო ერთეული აღწერილობითი ხასიათის სიტყვაა. **მყვირალნი** - ამოსავალი მნიშვნელობით “ვინც ყვირის”, რომელსაც შემდეგ გარკვეული მნიშვნელობა აქვს მიღებული, კერძოდ ეშმაკისა. ცნობილია, რომ ფსიქიკური ავადმყოფობით დაავადებული, შებყრობილი ადამიანი ხშირად ყვირის, გამოსცემს გაურკვეველ ხმებს, მათზე ამბობენ “ეშმაკი შეუსახლდა”. შეიძლება ამით იყოს მოტივირებული ეშმაკის აღნიშვნა “მყვირალნი” სიტყვით.

შენიშვნა: საწესო ტექსტების ეს ლექსიკური ფონდი (ჯერჯერობით მიკვლეული 160-მდე სიტყვა) სრულად იხილეთ ზურაბ კიკნაძის ნაშრომში “ჯვართენის” შესწავლისათვის, ქართველური მემკვიდრეობა. ტ. I, 1996, გვ. 147-154.

ჯვართენაზე **ზარს** ჰქვია **მხვივანი**. **ზარი** ძველ ქართულშივე პოლისემიური სიტყვაა. ეს არის: 1. რვალის დიდი სარეკელი, 2. საზარელისაგან შიში, ასევე 3. გლოვა, 4. მწყობრი, ხალხი, გუნდი; 5. კამათელი. აქედან **ზარი** შიშის მნიშვნელობით მ. ანდრონიკაშვილს მიაჩნია საშუალო სპარსულ სიტყვად (zahr-) (მ. ანდრონიკაშვილი, 1966, გვ.223-224). რადგან ჯვართენის ლექსიკურ ფონდში **მხვივანი** კლასიფიცირებულია ჯვართან დაკავშირებული მოვლენებისა და რეალიების ლექსიკურ ჯგუფში, საანალიზო სიტყვა **მხვივანი** უნდა იყოს სარეკელი. იგი **მხვივანი** (ზარის მნიშვნელობით) ხშიანობითაა მოტივირებული: “აღარ ხვიოდეს დროშანი, აღარც უქცევდა ზარიო (ხევს. პოეზ.)“, აგრეთვე: **გამახვივის, დაჰხვივის** (“დახვივინებს”; “დაჰკვივის”), **შამაჰხვივლებს** (“შემოხულვებს” - “სამციხელების თოფებმა ელოს ძირს შამაჰხვივლაო”), **ჩამახვივლებს** (“ჩამოჰქუხებს”, “ქუხილის ხმას ჩამოიტანს”), **ხვივილი** (ალ. ჭინჭარაული, 2005, გვ. 1123). შდრ. ძველი ქართული **მჰვანი** - “მოქიხვინე” (ზ. სარჯველაძე, 1997), ხევსურულში - “რაც ვვივის”. **ჰმოხვიხვინე** (ალ. ჭინჭარაული, 2005), **ჰვივილი** - “ქიხვინი”; “კივილი”; “ყვირილი”; **ჰვობა** - “ყვირილი”, “კივილი” (ზ. სარჯველაძე, 1997). შდრ. **ხვივილი, ხვივილი, ხვიხვინი, ხმიანობა, ყვივილი, ჰყვივილი...** ცნობილია, რომ ზარი უმთავრესად გამოიყენება მორწმუნეთა სალოცავად მოსახმობად ან ცალკეულ წმინდა მოვლენათა აღსანიშნავად. ლექსიკური ერთეულები **ჰხვიხვინი, კივილი, ყვირილი, ხვივილი, ხვივილი, ხვიხვინი, ხმიანობა, ყვივილი, ჰყვივილი...** “დაძახების/დაძახებით მოწოდების” სემანტიკურ ველში ერთიანდებიან. ვფიქრობთ, სიტყვა **მხვივანი ზარის** ნასესხობამდელი ქართული სახელია. იმის თქმა გვინდა, რომ ჯვართენის კუთვნილი ლექსიკა საკუთრივ ქართულია, ქართულ ნიადაგზეა წარმოქმნილი და მისი საერთო ქართულში გავრცელებული ვარიანტი — ნასესხობა. ჯვართენაში გამოიყოფა უძველესი შრე ქართული ენისა, როდესაც ქართულში უცხო ენებიდან არ იყო შემოსული და გავრცელებული ნასესხები ლექსიკა. ჯვართენის ლექსიკის ეს შრე ასახავს

იმდროინდელ ენობრივ სიტუაციას, როცა ქართული ენა ნაკლებად იყო შერეული უცხო ენებიდან ნასესხები სიტყვებით.

ჯვართენის ლექსიკაში ყურადღებას იპყრობს ისეთი ერთეულები, რომლებიც ქართულ ნიადაგზეა შექმნილი და მოპოვებათ უცხო ენებიდან შემოსული ლექსიკური სინონიმები. ასეთებია: ქართული **სასაგნავი**, **საქუხარი** და ნასესხები **თოფი** (სა-საგნ-ავ-ი. "საგანში" ანუ "მიზანში" მსროლელი), ქართული **მხვივანი** - ნასესხები **ზარი** და **სხვ.**

ჯვართენის გარდა ზოგადად ქართულშიც დასტურდება შემთხვევები, როცა ერთი სიტყვა ქართულია, მისი შესატყვისი მეორე სიტყვა - ნასესხები. ამ ტიპის სხვა მაგალითებია: **მჭამელი** - **უანგი**; **საქუხარი**, **სასაგნავი** - **თოფი**; **მხვივანი** - **ზარი**; **უნჯი** - **განძი**; **ავეჯი** - **ღგამი** (შდრ. "ოჯახში ღგამი" "ავეჯი ორჯერ გადადგი და გადმოდგი, რომ მაზალი (ბედი) შეიცვალოს" (ლ. ბრეგაძე, 2012, გვ. 39), **მიწა-ცარცი**, **საგონელი** - **გაჯი**; **საგონებელი**, **განზრახვა** - **ფიქრი**; **მოციქული**, **ციქვი** - **ელჩი**; **მტილი** - **ბოსტანი**; **სამსჭუალი** - **ლურსმანი** (ზარაბ. მუსმარი) და **სხვა.**

ჯვართენაში გამოირჩევა ქართული ენის ლექსიკის უძველესი შრე, რომელშიც დაცულია უძველესი, კერძოდ, ქართულ ენაში ნასესხობათა შემოსვლისა და დამკვიდრებამდელი ვითარება. **ჯვართენის ლექსიკას საერთო ენაში თავისი პირველადი მნიშვნელობები გააჩნია და ჯვართენაში დამატებით, სპეციალური, რიტუალისათვის საჭირო სიმბოლიზებული მნიშვნელობები მიუღია.** ჯვართენის ტერმინებში მნიშვნელობის გადატანის ყველა შემთხვევა (შეორებული სემანტიკა) ყოველთვის არ არის მოტივირებული ამოსავალი, პირველადი მნიშვნელობებით (მაგ., **ბედი** - "ვაჟი", **უბედური** - "უვაჟო"). ჯვართენაშიც, როგორც სხვა რიტუალურ ტექსტებში (შელოცვებში და ა.შ.), "შეიძლება გამოიყოს ზოგადქართული (ქართველური) წარმართული შრეც, ქრისტიანული ტერმინებიც და საკუთრივ დიალექტური (ლოკალური) ფენაც" (ე. დადიანი, ნ. ნაკანი, ტ. ფუტყარაძე, რ. ხაჭაპურიძე, 2000, გვ. 65).

ამრიგად, ჯვართენის გარკვეული სიტყვები ახალი სემანტიკური კომპონენტით წარმოგვიდგება. ჩვენი აზრით, ეს არის ა) სპეციალური, ჯვართენისათვის საჭირო სიმბოლიზებული სიტყვები, რომელთა საჭიროებამ ქართული ენის ლექსიკაში განაპირობა სიტყვათა ახალი პოლისემიური ჯგუფების წარმოქმნა, ჯვართ ენის ლექსიკას (ტერმინებს) სალიტერატურო ენისაგან მკვეთრად განსხვავებული სემანტიკის გაჩენა და ბ) საგანთა და მოვლენათა უძველესი, ქართულ ენაში ნასესხობათა შემოსვლისა და დამკვიდრების ხანამდე შემოსული ქართული ლექსიკა. ამ ჯგუფის ლექსიკა აღწერთი ხასიათისაა. მათი უმეტესობა წარმოქმნილია თვალშისაცემი გარეგნული მნიშვნელობის ან ფუნქციის მიხედვით. ასეთი სიტყვებიდან უფრო ნათლად ჩანს ქართულ ენაზე მეტყველთა აზროვნებისა და სამყაროს ენობრივი აღქმის სურათი. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით საგანგებო კვლევის ჩატარება გამოკვეთს ქართული ენის უძველეს იერსახეს, როცა ენა ნაკლებად იყო შერეული უცხო ენებიდან შემოსული ლექსიკით და გამოავლენს მოვლენებსა თუ საგნებზე ხალხის დაკვირვების თავისებურებებსა და აღქმის მხატვრულობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯვართენის ლექსიკა, თუ ის ტერმინებია, შეორეული მნიშვნელობის მქონე სიტყვებია და მათი უმეტესობა, თავის მხრივ, პოლისემიურია.

ხოლო, თუ სიტყვა განიმარტება ქართულში უცხო ენებიდან შემოსული სიტყვით, მათ ჩვენ ვთვლით უძველეს ქართულ, საკუთრივ ქართულ ნიადაგზე წარმოშობილ სიტყვებად, ქართულში შესაბამისი სიტყვის სესხებამდე გავრცელებულ სახელებად.

დამოწმებული ლიტერატურა

- მ. ანდრონიკაშვილი, 1966 - მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, 1. თბ., 1966.
- ლ. ბრეგაძე, 2012 - ლ. ბრეგაძე, ყოფითი რწმენა-წარმოდგენები, თბ., 2012.
- ე. დადიანი, ნ. ნაკანი, ტ. ფუტკარაძე, რ. ხაჭაპურიძე, 2000 - ე. დადიანი, ნ. ნაკანი, ტ. ფუტკარაძე, რ. ხაჭაპურიძე, შელოცვების ენა ქართველურ ენათა დიალექტების მონაცემთა მიხედვით, ქართველური მემკვიდრეობა, ტ. VII, ქუთაისი, 2000.
- ზ. კიკნაძე, 1996 - ზ. კიკნაძე, "ჯუართენის" შესწავლისათვის, ქართველური მემკვიდრეობა, ტ. I, ქუთაისი, 1996.
- თ. ოჩიაური, 1954 - თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1954.
- თ. ოჩიაური, 1996 - თ. ოჩიაური, ჯვართ ენის შესახებ. ქართველური მემკვიდრეობა, ტ. I, ქუთაისი, 1996.
- ზ. სარჯველაძე, 1997 - ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა. თბ., 1997.
- ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 1990 - ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.
- ნ. ღამბაშიძე, 2001 - ნ. ღამბაშიძე, რატომ უწოდებენ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში მიცვალებულთა სულს "სულიწმიდას?". ქართველური მემკვიდრეობა, ტ. V, ქუთაისი, 2001.
- ალ. ღლონტი, 1984 - ალექსანდრე ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.
- ა. ჩიქობავა, 2008 - ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი. შრომები, III, თბ., 2008.
- ა. ჭინჭარაული, 2000 - ალექსანდრე ჭინჭარაული, "ჯვართ ენის" ზოგი ტერმინის წარმომავლობისა და მნიშვნელობისათვის. "სასაგნავი", ქართველური მემკვიდრეობა, ტ. VII, 2000.
- ა. ჭინჭარაული, 2005 - ა. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005.
- ბ. ჯორბენაძე, 1989 - ბესარიონ ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია. ტ. I, თბ., 1989.

TAMAR GITOLENDIA

ARGOT – AS A SOURCE OF POLYSEMY IN GEORGIAN

The paper discusses ritual argot as one of the reasons of emerging new semantics in Georgian. The analysis of the ritual argot presents as a motivation for the origination of new meanings in the Georgian language.

The “jvartena”, (language- of- the- Cross) was a language of the preacher, a set of terms different from everyday spoken language, which the preacher used during the revelation of the will of the Cross. As for the ritual argot I mean here the language of hunters and the formulas of praying, the meanings of whose words are known only to a certain group(s) of users; the reason behind was that “revealing professional secret often meant going belly-up. The protection of the secret demanded elaboration of corresponding argot, which would be understandable only for the guild members “ (B.Jorbenadze). This fact underlay the beginning of the new groups of polysemic words in the mountainous dialects of the Georgian language.

The common group of words of the spoken language and the “jvartena” (language- of- the- Cross) come out with new semantic meanings. New names are given to the objects and phenomena, which in ordinary speech have their names. For instance, in the “jvartena” *bedi* (the fate) means *vazhi* (the son); *mqepari* (the crier) means *kadagi* (the preacher); *sulitsminda* (Holy Ghost) – the dead; *salagobelni* (for making merry) - pies to be brought at the ritual gathering; *morige* (the one on duty) -the god; *ghirebuli* (valued) – one year-old cattle; *tetreuli* (white things)- silver; *mtsvanili* (greenery) – a year; *khmelni* (dried) – cliffs; *mkviralni* (shouters) – unclean; *begari* (tax) –death; *dabegvra* (exerting taxes) – mortality; *tsamebuli* (martyr) – believer, the man of the Cross; *targmani* (translation) – preacher; *saboloo*, *monagoni* (the final, the invented) –children, grandchildren, heirs...

The vocabulary of the “jvartena” (language- of- the- Cross) has its primary meaning in the ordinary language and the additional meanings with its symbolized semantics actualized during the special rituals. Not all the words that acquire secondary nomination have corresponding motivating semantics within the components of the original lexical unit. For example, *bedi* (fate) meaning a son, or *u-bed-ur-i* (unhappy) meaning “someone who has no son” have nothing in common with the original semantics of the word.

Certain words of the “jvartena” present with entirely new semantic components. I think these words are the following:

a) New polysemic lexical groups, symbolized words whose emergence were conditioned by the need of “jvartena”; the vocabulary of the “jvartena” (language-of- the- Cross) must have had altered meanings completely different from their literary usage.

b) Ancient Georgian word-stock established in the language earlier than the era of borrowings; these groups of words are of descriptive nature and reveal the ways of thinking of ancient Georgian speakers, the image of the world reflected in words, as nominating process must have considered the conspicuous (for the Georgians) characteristics of objects.